პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 185 (12099) | სამშაბათი, 15 აგვისტო, 1961 წ. | ფასი 2 კაპ

ღირსეული შეხვედრა სკკპ XXII ყრილობას!

წარმოების მაღალი კულტურისა და საუკეთესო პროდუქციისათვის

ბუშინ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კლუბში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა წარმომადგენლების თათბირი.

საკითხზე „წარმოების მაღალი კულტურისა და პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის“. მოხსენება გააკეთა სამმართველოს უფროსმა **ვ. ვადეჩკორიამ**. კამათში მონაწილეობა მიიღეს: **ი. ხვედელიანმა**, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორმა **ლ. აიკაზოვმა**, თბილისის ფოლად-თუჯსამსმელო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა **ი. ბოგვინმ**, ბათუმის გემთსამშენებლო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა **ლ. რიჩკოვმა**, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა **ი. ბოგველიძემ**, ჟუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა **გ. კოვალაძემ**, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა **კ. შეკილაძემ**, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კონსტრუქტორმა **ე. ბენდუქიძემ**, თბილისის სახეხი ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. კაკულიამ** **გ. ზელენერამ**, მანქანათმშენებლობის პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. ბუმბურიძემ**, თბილისის მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის სამეცნიერო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ **კ. ლაკაბინმ**.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ ამხ. **რ. ფარეიძემ**.

თათბირმა მიიღო მიმართვა, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა წარმომადგენლების თათბირის

მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, დირექტორებს, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს

ძვირფასო ამხანაგებო!

შესანიშნავ დღეებში ცხოვრობს ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხი. ამას წინათ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტები.

სკკპ პროგრამის პროექტი ცხოველ გამოხმაურებას და ერთსულოვან მოწონებას პოულობს ყველა საბჭოთა ადამიანის გულში. საბჭოთა კავშირის მშრომელებს მიაჩნიათ, რომ ამ დოკუმენტით გამოხატულია მათი სასიცოცხლო ინტერესები, მათი მისწრაფებანი და იმედები. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, საკოლმეურნეო მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ყველგან გულდასმით სწავლობენ ხალხთა ბედნიერი მომავლის — კომუნიზმის აშენების ნათელ პროგრამას და ახალი ენერგიით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

პარტიის XXII ყრილობისათვის მზადების ამ ღირსშესანიშნავ დღეებში მოწინავე საწარმოებმა და ცალკეულმა ნოვატორებმა გამოიჩინეს ბევრი კარგი თაოსნობა, რაც მიმართულია წარმოების კულტურის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისაკენ. ამ ცოტახნის წინათ მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ძვირფასი პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს — ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომიური რაიონის მრეწველობის მუშაკებს მოუწოდეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში, რათა საერთო ღონისძიებებით კიდევ უფრო მაღლა ასწიონ საბჭოთა საფაბრიკო-საქარხნო მარკის ღირსება.

მოსკოველთა მოწოდებას პირველი გამოეხმაურა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი. ქართველი ავტომშენებლების ეს ინიციატივა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მოუწოდა რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებს მხარი დაუჭირონ ქუთაისელებს და ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მსოფლიოში საუკეთესო პროდუქციისათვის.

ვინც საწარმო ცხოვრებას იცნობს, მისთვის ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ წარმატების სხვა ფაქტორთა შორის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს. შრომის პირობებში, უწინარეს ყოვლისა, წარმოების კულტურა იგულისხმება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის გამოქვეყნება, რომელშიც აისახა პარტიის ზრუნვა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების მაღალი კულტურის დანერგვისათვის, მნიშვნელოვანი ბიძგი გახდება შემდგომ მუშაობაში პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და ჩვენს მრეწველობაში წარმოების კულტურის ასამაღლებლად ბრძოლის მასობრივად გაშლისათვის.

რესპუბლიკის მანქანათმშენებლები სისტემატურად მუშაობენ წარმოების კულტურის ამაღლებისათვის. უფრო მაღალი წარმადობის მანქანების შექმნისთვის, ასევე წინათ აითვისებული მანქანების სრულყოფისათვის.

დადებით ფაქტორებთან ერთად ზოგიერთ ქარხანაში მთელი რიგი ნაკლოვანებებიც არის. ქარხნების საწარმოო სათავსები დაუუჭიანებული და ჩახერგილია, ქარხნების ტერიტორიას ჯეროვან წესრიგში არ ინახავენ.

იმ საწარმოებში, სადაც ხორცილდება ღონისძიებათა კომპლექსი წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, იზრდება შრომის ნაყოფიერება, ძლიერდება მუშაკთა პასუხისმგებლობის გრძნობა სამუშაო სათავსების სისუფთავისა და მყუდროებისათვის, უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, გარკვეული ზომით იზრდება ქარხნის თვით მუშაკებისა და მთლიანად ორგანიზაციის ქცევის კულტურა.

ითვალისწინებს რა წარმოების კულტურის ამაღლებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა მნიშვნელობას, აგრეთვე პროდუქციის ხარისხის ამაღლების მნიშვნელობას, თათბირი მოუწოდებს ყველა მანქანათმშენებელს:

1. მხარი დაუჭირონ მოსკოვის საწარმოთა პატრიოტულ მოწოდებას — გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება მსოფლიოში საუკეთესო პროდუქციისათვის.

2. ფართოდ გაშალონ მუშაობა წარმოების კულტურის დანერგვისათვის იმ ანგარიშით, რომ პარტიის XXII ყრილობისათვის ყველა მანქანათსამშენებლო ქარხნის ძირითად საამქროებში დანერგოს წარმოების კულტურა. ყოველდღიურად ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მოკლე დროში ჩვენი ყოველი ქარხანა გავხადოთ მაღალი კულტურის საწარმოდ.

3. 1961 წლის განმავლობაში განახორციელონ საქარხნო ტერიტორიების კეთილმოწყობა, მათი გამწვანება, გზებისა და ქვეითად სახიარული ბილიკების მოასფალტება. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენონ ქარხნების საზოგადოებრივობის ძალები.

4. მუდამ სოფთად ინახავდნენ საამქროებს, კვებისა და საყოფაცხოვრებო ობიექტებს, დაამყარონ სასტიკი საზოგადოებრივი კონტროლი ქარხნის მთელ ტერიტორიაზე სანიმუშო წესრიგის დაცვისადმი.

5. გააძლიერონ საწარმოთა მუშაკებს შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა საქარხნო მარკის ღირსებისათვის, იმისათვის ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ, რომ საქართველოს მანქანათსამშენებლო საწარმოების მიერ დამზადებული პროდუქცია მსოფლიოში საუკეთესო იყოს, ხოლო წარმოების კულტურა — ყველაზე მაღალი.

6. გააჩაღონ ბრძოლა იმისათვის, რომ თვითეული უბანი, თვითეული მუშა ასრულებდეს გეგმას ან საწარმოო დავალებას პროდუქციის საუკეთესო ხარისხის დაცვით და რომ ქარხნებში არ იყოს ჩამორჩენილი საწარმოები, უბნები, საამქროები, ბრიგადები და მუშები.

7. ახალგაზრდა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების გზით მოკლე დროში მივაღწიოთ იმას, რომ ნოვატორთა გამოცდილება ყველას კუთვნილება გავხადოთ, წარმოების საერთო მაჩვენებელი ავიყვანოთ ნოვატორთა დონემდე და ამით დავაჩქაროთ ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო პროდუქციის სიუხვის შექმნა.

თათბირის მონაწილენი მოუწოდებენ ყველა მანქანათმშენებელს გააჩაღონ ბრძოლა იმისათვის, რომ საწარმოები, ორგანიზაციები, ქარხნები გადაიქცნენ წარმოების მაღალი კულტურის მატარებლებად.

მიმართვა მიღებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა წარმომადგენლების თათბირის მიერ.

ბ რ ძ ა ნ ებ უ ღ ებ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიად (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლი) გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 ივლისის ბრძანებულების „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კონტროლის კომისიის სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიად (სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლი) გარდაქმნის შესახებ“ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღგენს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ გაერთიანდა სახალხო-სამეურნეო ამოცანები და საჭიროა გაძლიერდეს მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება თავიდან ბოლომდე, აგრეთვე სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისია გარდაქმნას საქართველოს სსრ საკავშირო — რესპუბლიკურ ორგანოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიად (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლი).

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიას დაეკისროს: შეამოწმოს მთავრობის სახელით სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მთავრობის გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულება, სახელმწიფო დისციპლინის დაცვა ფულადი სახსრების, მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვასა და მათ შენახვაში; შეამოწმოს როგორ სრულდება საერთო საკავშირო ფონდში მასალების. მოწყობილობისა და სარეზერვო-ათვისებისა მიწოდების მთავრობის მიერ დაწესებული გეგმები; კონტროლი გაუწიოს აღრიცხვისა და სახელმწიფო ანგარიშგების მდგომარეობას: აღმოფხვრას წარმატებანი სახელმწიფო ანგარიშგებაში, მოტყუება და თვალის ახვევა, აგრეთვე აწარმოოს ბრძოლა კეთხურობისა და უწესებრიობის გამოვლენების, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ; შეამოწმოს, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა მმართველობის სახელმწიფო აპარატის სრულყოფისათვის და ამ აპარატის შესანახავი ხარჯების შემცირებისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისია და მისი ორგანოები ადგილებზე თავიანთ მუშაობას აწარმოებენ საბჭოთა, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში. ეყრდნობიან საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საზოგადოებრივ კონტროლს, ფართოდ აბამენ შემოწმებაში მოშრომლებს, კოლმეურნეებს და მოსამსახურეებს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და დაამტკიცოს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1961 წლის 14 აგვისტო.

გეგმა კანონია, მეჩაიეებო!

მოკრეფილია 122.203 ტონა ჩაი. შარშან ამავე პერიოდში მოკრეფილი იყო 123.267 ტონა.

აგვისტო განახევრდა. ჩაის კრეფის სეზონი იწურება. თვითეულ დღეს, თვითეულ საათს ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ საქართველოს მეჩაიეებმა პირნათლად გაანალდონ ნაკისრი ვალდებულება — მისცენ სამშობლოს 165 ათასი ტონა ჩაი.

მეჩაიეობის ბევრ რაიონში გულმოდგინე შრომაა განაღებული. არა ერთმა და ორმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა თუ ჩაის კრეფის ოსტატმა უკვე შეასრულა წლიური გეგმა. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით სტატისტიკური სამმართველოს 10 აგვისტოსათვის გამოშვებულ ცხრილს, დავრწმუნდებით, რომ ჩაის კრეფაში შარშანდელ დონეს ჩამოვრჩებით. ეს იმ დროს, როცა შვიდწლედის მესამე წელს გაცილებით დიდია გეგმაც და ნაკისრი ვალდებულებაც.

10 აგვისტოსათვის რესპუბლიკაში მოკრეფილი იყო 122.203 ტონა ჩაი, შარშან კი ამავე დროისათვის — 123.267 ტონა.

აგვისტოში აჭარის ასს რესპუბლიკამ 5.590 ტონა ჩაი უნდა მოკრიფოს. ათი რიცხვისათვის მოკრეფილი ჰქონდა 1.717 ტონა, ე. ი. გეგმა შესრულებული იყო 30,7 პროცენტით. ამავე რიცხვისათვის აფხაზეთის ასსრ მოკრეფილი ჰქონდა 1.580 ტონა, თვიური გეგმის შესრულება უდრიდა 27,5 პროცენტს.

მახარაძის რაიონში ჩაის კრეფის აგვისტოს გეგმა შესრულებული იყო 26,3 პროცენტით, ლანჩხუთის რაიონში — 27,4, ჩობალეურის რაიონში — 27,9, ქობულეთის რაიონში — 28,8, გალის რაიონში — 28,6, ოჩამჩირის რაიონში — 25,8, გუდაუთის რაიონში — 26,2, ზუგდიდის რაიონში — 29,2, ჩხოროწყუს რაიონში — 23,4 პროცენტით...

ჩაის კრეფის ასეთი ტემპით ჩვენი მეჩაიეები ნაკისრ ვალდებულებას დროულად ვერ შეასრულებენ.

ამხანაგო მეჩაიეებო! სამშობლო თქვენგან მეტ ენერგიას, მეტ თავდადებას, მეტ დაუღალავ შრომას მოითხოვს. ნუ დავივიწყებთ, რომ გეგმა და ნაკისრი ვალდებულება კანონია. ის, რაც იკისრეთ, უნდა შესრულდეს!

საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30, გვ. 488.

შენთვის, ჩემო სამშობლო!

ტყიბული. (საკ. კორ.). ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი, როგორც ჭერის მართვის პროგრესული და რენტაბელური მეთოდი, სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს ქვანასშირის მრეწველობაში.

სტალინის სახელობის მძლავრი შახტი ამას წინათ მთლიანად გადავიდა ჰიდრავლიკურ ვსებაზე. ქვანახშირის მოპოვების ახალ მეთოდს ყველაზე კარგად დაეუფლა იმ უბნის კოლექტივი, რომელსაც სახელგანთქმული სამოელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ივ. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობს. ამ უბანმა მარტო ივლისში ჰიდრავლიკური ვსებით რამდენიმე ეშელონი „შავი ოქრო“ ამოიღო და თვიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

ჰიდრავლიკური ვსების გაფართოებამ დღის წესრიგში დააყენა სავსები მასალის მტკიცე ბაზის შექმნის საკითხი. ამ მიზნით შახტში ბევრი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება განხორციელდა: მოლიანად რეკონსტრუირებულ იქნა სავსები მასალის დამამზადებელი კარიერი, მომზადდა სანგრევის ახალი ხაზი, დაიდგა დიდი წარმადობის მქონე ქვის სამსხვრევი მანქანები, აიგო 4.000 კუბმეტრი ტევადობის გრუნტის მოსათავსებელი სასაწყობო მეურნეობა.

ნაქერალის ქედის სამხრეთ კალთაზე საფუძველი ჩაეყარა ახალ, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ საკარიერო მეურნეობას. სპეციალისტების დასკვნით ეს ახლად აღმოჩენილი სავსები მასალა საუკეთესო ხარისხისაა, იგი კარგად ატარებს წყალს, სწრაფად ილექება და ცემენტაციის საუკეთესო თვისება აქვს, რასაც ჰიდრავლიკური ვსების მუშაობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ვალდებულების ანგარიშში

წალენჯიხა. („კომუნისტის“ კორ.). ათი აგვისტოსათვის ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 83,3 პროცენტით. ემზადება რა სკკპ XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ზოგიერთმა კოლმეურნეობამ ჩაის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ახლა ვალდებულების ანგარიშში კრეფს ფოთოლს.

წალენჯიხის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა გეგმით გათვალისწინებულ 175 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 176 ტონა ჩაის ნედლეული. სეზონის დამთავრებამდე კიდევ მოკრეფენ 50 ტონას. ამ სამუშაოში ყველაზე მეტად დაწინაურდა მეხუთე ბრიგადა, რომელსაც ა. კვარაცხელია ხელმძღვანელობს.

ამ ბრიგადის წევრებმა გეგმის გადამეტებით ხუთი ტონა ჩაი მოკრიფეს. სეზონის დამთავრებამდე კიდევ ათობით ტონა ჩაის ნედლეულს მისცემენ სამშობლოს. წარჩინებულმა მკრეფავმა ფ. მიქაიამ ვალდებულების ანგარიშში 3,5 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა და დამატებით 2,5 ტონა ჩაის მოკრეფა იკისრა.

თავიანთ შრომითს წარმატებებს წალენჯიხელი მეჩაიეები ჩვენი პარტიის XXII ყრილობას მიუძღვნიან.

არის, წლიური გეგმა!

პარტიის XXII ყრილობის ალსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად ჯუგდიდის რაიონის ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 12 აგვისტოსათვის შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 670 ტონა „მწვანე ოქრო“. მოკრეფილი ჩაის ფოთლიდან 82 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მეურნეობის კოლეტივმა ვალდებულება იკისრა სეზონში გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 150 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მათი შრომა მისაბაძია

ბათუმი. („კომუნისტის“ კორ.). მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას შრომითს საჩუქრებს უმზადებენ ბათუმის რაიონის მეჩაიეები. 10 აგვისტოს მათ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 350 ტონით მეტი ჩაი მოკრიფეს და ჩაბარეს მრეწველობას. ბევრმა კოლმეურნეობამ წარმატებით შეასრულა კრეფის წლიური გეგმა და ახლა ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში კრეფს ჩაის მწვანე ფოთოლს.

სოფელ აჭარისწყლის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნამ“ და თხილნარის გორაკის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა. ამ კოლმეურნეობათა მეჩაიეებმა გეგმის ზევით უკვე მოკრიფეს ათობით ტონა ჩაი. ახლა ისინი მონდომებით იბრძვიან ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის.

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა კომკავშირის ხათუმის რაიკომმა. ახალგაზრდული ბრიგადისათვის, რომელიც ჩაის კრეფის წლიურ გეგმას შეასრულებს, სკკპ XXII ყრილობისადმი მიძღვნილი გარდამავალი წითელი დროშა დაწესა. ახალგაზრდულ ბრიგადებს შორის გაჩაღდა ბრძოლა ამ დროშის მოპოვებისათვის.

გარდამავალი დროშა პირველმა დაიმსახურა სოფელ სარფის კოლმეურნეობის ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ო. ვანლიღში უძღვება. ამ ბრიგადამ გეგმის გადამეტებით სამ ტონამდე ჩაის მწვანე ფოთოლი მისცა ქვეყანას.

მკობნის მჯობნი არ დაილეგაო, ნათქვამია. უფრო მეტი ვაჟკაცობა გამოიჩინეს სოფელ აჭარისწყლის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ ჩას მკრეფავთა ახალგაზრდული ბრიგადის წევრებმა, წლიური გეგმით გათვალისწინებული 42 ტონის ნაცვლად 52 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს და სეზონის დამთავრებამდე დამატებით 15 ტონის მოკრეფა იკისრეს.

ბრიგადას ამ დღეებში საზეიმოდ გადაეცა ღირსეული ჯილდო — გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც მანამდე სარფის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიეები ფლობდნენ.

ყოჩაღ, ახალგაზრდებო, თქვენი შრომა დასაფასებელი და მისაბაძია!

ხობელთა წარმატება

ხობი. (საკ. კორ.). ხობის რაიონმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა დაფნის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა. ხობელმა მეფაფნეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 14,3 ტონა დაფნის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 140,3 პროცენტს შეადგენს.

დაფნის ფოთლის ჩაბარების გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ და ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, ხამისკურის, პირველი მაისისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „ბმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

მიენიჭოთ „ბმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „ბმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ასლანოვას კარდენ რაშოს ასულს — დიასახლისს, ქალაქ თბილისის კიროვის რაიონი;

2. მშველიძეს ანა ანდრიას ასულს — ზესტაფონის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი. კრემლი.
1961 წლის 9 აგვისტო.

ა. ი. მიკოიანი იაპონიაში ჩავიდა

ტოკიო, 14 აგვისტო (საკადესი) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი ტოკიოში ჩამოვიდა.

ა. ი. მიკოიანი იაპონიაში იქნება იმასთან დაკავშირებით, რომ ტოკიოში იხსნება საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ე. მ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ამხ. ერმალოზ მინასაძე ჯაფარიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1961 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. შ. მიქელაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ამხ. გივი შალვას-ძე მიქელაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1961 წლის 14 აგვისტო.

,,დასვენებული“ კლანტაციები

წყალტუბოელმა მეჩაიეებმა დიდი გადამეტებით შეასრულეს ჩაის კრეფის სამი თვის გეგმა. ოცდათა კოლმეურნეობიდან შვიდმა წლიური დავალება გაანაღდა. თითქოს სამდურაკი არ ითქმის, მაგრამ...

საქმე ის არის, რომ გეგმების საერთო შესრულების მიუხედავად, კრეფის ტემპი მაინც დაბალია, შარშანდელს ჩამორჩება და საფრთხეს უქმნის ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

განსაკუთრებით შეიერცხვინა თავი სოფელ მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე კ. მუკბანიანი). აქ დღეში ტონანახევარ ჩაის მაინც უნდა კრეფდნენ, მაგრამ, თუმცა ფოთოლი შემოსულია, ახლა რატომღაც პლანტაციებს „ასვენებენ“, დღეში საშუალოდ ნახევარ ტონა ფოთოლს ძლივს კრეფენ.

პლანტაციებსა „დასვენებაში“ კიდევ უფრო შორს მიდიან ამავე სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. ნიკარაძე) და ფარცხანაყანევის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. ფხაკაძე). აგვისტოს პირველ კვირაში ფარცხანაყანევის კოლმეურნეობებში ჩაის კრეფა მთლიანად შეწყვიტეს.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1961 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ამხ. ბ. ბ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1961 წლის 14 აგვისტო.



ხალხმა რომ მადლობა გვითხრას

რ. ნინიძე,
ტრესტ „თბილმშენინდუსტრიის“ მმართველი.

უკანასკნელ წლებში საბინაო მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში ფართო მასშტაბს იღებს. კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ისტორიული ამოცანა საცხოვრებელი ბინების ნაკლებობის აღმოფხვრისა შეიძლება გადაჭრილ იქნას მშენებლობაში სწრაფი ტექნიკური პროგრესის საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით მსხვილბლოკური და მსხვილპანელური სახლთმშენებლობა საცხოვრებელი სახლების აგების ინდუსტრიალიზაციის საფუძველი ხდება. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა საშენებლო წარმოება გადავაქციოთ ქარხანაში დამზადებული დიდი ზომის დეტალებისაგან შენობათა აწყობის მექანიზებულ ნაკადურ პროცესად.

კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტი ორი ათწლეულის განმავლობაში კიდევ უფრო დიდ ამოცანებს სახავს ბინათმშენებლობის დარგში. პროექტში ნათქვამია:

„სკკპ აყენებს ამოცანას გადაიჭრას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველაზე მწვავე პრობლემა — საბინაო პრობლემა. მეორე ათწლეულის შედეგად ყოველ ოჯახს, მათ შორის ახლადშეუღლებულთა ოჯახებს, ექნება კეთილმოწყობილი ბინა ჰიგიენისა და კულტურული ყოფაცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად. ძველი ტიპის გლეხური სახლები ძირითადად შეიცვლება ახალი თანამედროვე სახლებით, ან იქ, სადაც ეს შესაძლებელია, მოხდება მათი რეკონსტრუქცია და განხორციელდება საჭირო კეთილმოწყობა. მეორე ათწლეულის განმავლობაში ბინები სარგებლობა თანდათანობით უფასო გახდება ყველა მოქალაქისათვის“.

მშენებლები, სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკები, არქიტექტორები და კონსტრუქტორები მოვალენი არიან ღირმა ანალიზი გაუკეთონ პროგრამის პროექტით გათვალისწინებულ ამოცანებს და იფიქრონ იმის შესახებ, რომ უფრო სწრაფად აეწყონ რიტმული მუშაობა სამშენებლო მოედნებზე, სადაც იქმნება მასივები, კომპლექსურად გაშენებული ახალი საცხოვრებელი კვარტალები. მიკრორაიონებისა და კვარტალების გენერალური გეგმების გადაწყვეტის, ცალკეული სახლებისა და კულტსაყოფაცხოვრებო ნაგებობების დაგეგმვის, შენობათა დეტალებისა და ასაწყობი ელემენტების დამზადების, საინჟინრო ქსელებისა და კომუნიკაციების განხორციელების, შენობების დამონტაჟებისას სამუშაო გენერალური გეგმების გადაწყვეტის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას ღონისძიებანი, რომლებიც საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოფენ საცხოვრებელი სახლის მაღალ ხარისხს, ყველა კომუნიკაციისა და კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ეკონომიურად განლაგებას, მიღწეულ უნდა იქნას მშენებლობის მაქსიმალური გაიაფება და შენობათა აგების ვადების შემცირება.

თბილისში ცოტა რამ როდია გაკეთებული ამ მიმართულებით, ყოველწლიურად სრულდება ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები, იქმნება ახალი საცხოვრებელი მასივები საბურთალოში, დიღომში, ნავთლუღში, იზრდება და ფართოვდება ქალაქი და ათასობით მშრომელი იღებს კარგად აშენებულ ბინებს,

ამასთან არის მთელი რიგი გადაუჭრელი საკითხები, რომელთა გადაჭრა გააუმჯობესებდა მშენებლობის ტემპებს და გააიაფებდა მის ღირებულებას.

პირველ რიგში მინდა შეეხო შემდეგ საკითხებს:

განაშენიანების გენერალური გეგმის გადაჭრის დროს საჭიროა, ჩვენი აზრით, გათვალისწინებულ იქნას:

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე გადაყვანამდე კვარტალების კომპლექსური განაშენიანება ქ. თბილისის მასივებში უნდა ხორციელდებოდეს 5-6 სართულიანი საცხოვრებელი სახლებით, რომლებშიც მცირემეტრაჟიანი ბინები იქნება. აღნიშნული გადაწყვეტილება გაუმჯობესებს კომკურსა აშენების გამოყენებას და რიგმე განსაკუთრებული ხარჯების გაუწევლად გაადიდებს საცხოვრებელი ფართობის გადაცემას საექსპლოატაციოდ ერთი-ორი სართულის დამატებით, დაზოგავს სახელმწიფო სახსრებს.

კვარტალის საცხოვრებელი ზონის გადაწყვეტისას უზრუნველყოფილ უნდა იქნას საცხოვრებელი სახლების განლაგება კომკურსა ამწის მოქმედების ზონაში იმ გარეგანით, რომ ერთი კოშკურა ამწე მისი დემონტაჟის მოუხდენლად ორი-სამი სახლის აწყობაზე მუშაობდეს. ამგვარად კვარტალების დაგეგმვა სრულიად არ არის შეხამებული ამწეების მუშაობასთან და თითქმის ყოველი სახლის აწყობისას წარმოებს კოშკურა ამწეების მონტაჟი და დემონტაჟი, რაც ამცირებს ამწეების წარმადობას, მოითხოვს ზედმეტ ხარჯებს და საბოლოო ანგარიშით აძვირებს მშენებლობას, ზოგჯერ ნაადრევად გამოაყავს მწყობრიდან ამწის ცალკეული დეტალები.

უნდა შეიცვალოს თვითეული სახის საინჟინრო ქსელის მიწის ქვეშ ცალ-ცალკე გაყვანის არსებული წესი, რამდენადაც ეს აშკარად არ შეესაბამება თანამედროვე ასაწყობი სამონტაჟო მშენებლობის ორგანიზაციის ტექნოლოგიასა და მეთოდებს, აძვირებს მას და ძლიერ აფერხებს ნულოვანი ციკლის შესრულებას. ამავე დროს არის ახალ საცხოვრებელ მასივებში საინჟინრო ქსელების ბის მწყობის გაიაფებისა და ინდუსტრიალიზაციის, მათი ექსპლოატაციის არსებითი გაუმჯობესებისა და საინჟინრო ნაგებობათა სამსახურის განაწილებისა ფართო შესაძლებლობანი.

საინჟინრო კომუნიკაციების გეზნიშნა, გარდა ეზოს საკანალიზაციო კოლექტორებისა, თავმოყრილი უნდა იქნას საცხოვრებელი შენობების ქვეშ, სარდაფებიანი სახლების ტექნიკურ კორიდორებში ან ინ შენობების ტექნიკურ იატაკქვეშეთში, რომლებსაც სარდაფები არა აქვს.

საცხოვრებელი კომპლექსის ყველა შენობაში უნდა შეიქმნას ასაწყობი ელემენტებისაგან რგოლური გვირაბი, რომელშიც დამონტაჟდება საინჟინრო მაგისტრალები, გათბობა, ცივი და ცხელი წყლის მომარაგება, გაზი, ელექტროკაბელები და სუსტდენიანი ქსელი. ამასთან გათბობისა და ცხელი წყლის მომარაგების მაგისტრალები გაყვანილ უნდა იქნას სითბოს შემცველის მოძრაობის თანამშრავი მიმართულებით.

საინჟინრო კომუნიკაციების გაყვანის აღნიშნული წესი უზრუნველყოფს მყარ მუშაობს, თანაბარ დაწნევას (ან ძაბვას) სახლის ქსელების მიერთების ყველა წერტილში და თვითეული შენობისათვის ყველა სახის ენერგიის ორმაგად მიწოდებას ღირებულების გაუდიდებლად და მასალების დაუხარჯავად.

კომუნიკაციების გაყვანის რგოლური სქემის მეოხებით რომელიმე უბნის ავარია არ იწვევს შენობათა მომარაგების შეწერებას, რადგან საკვალთების უბრალო გადართვა მიაწვდის ენერგიას შესაკრავით გოლის მეორე ნაწილიდან, რაც სრულიად შეუძლებელია ქსელების მიწისქვეშა ჩიხური გაყვანის დროს, რომელიც ამჟამად მიღებულია ჩვენი საცხოვრებელი კვარტალებისათვის.

ყველა საინჟინრო ქსელის გაყვანა და მონტაჟი უნდა სრულდებოდეს ერთდროულად, კომპლექსურად, თვითეულ შენობაში ნულოვანი ციკლის დამთავრებისათანავე და მშენებლობის ნაკადურობის გრაფიკის სრული შესაბამისობით.

მზა ტექნიკურ არხებში ან შენობათა იატაკქვეშ საინჟინრო ქსელების კომპლექსური გაყვანის დაპროექტებულ სქემას მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვს მიწისქვეშა გაყვანასთან შედარებით:

მკვეთრად — დაახლოებით 41 პროცენტით შეიკრდება საინჟინრო კომუნიკაციების აგების ღირებულება;

ქსელების გაყვანა შრომალ, დასათვალიერებლად მისაწვდომ სათავსებში მნიშვნელოვნად ზრდის საინჟინრო ნაგებობათა სამსახურის ვადას. სავსებით აცილებელია თავიდან კოროზია;

იმის მეოხებით, რომ გაზის, ცივი და ცხელი წყალსადენის სადგარები უშუალოდ უერთდება მაგისტრალებს, მნიშვნელოვნად მცირდება სახლის ქსელები, რაც ამცირებს ადგილობრივი ქსელების ღირებულებას;

ისპობა სითბოს ის უსარგებლო დაკარგვა გრუნტში, რაც მიწისქვეშა თბოქსელების დამახასიათებელია. პირველი სართულის იატაკის ქვეშ თბომომარაგების მაგისტრალების არსებობა სასარგებლოა, ვინაიდან ზამთარში მაღალ სწევს პირველი სართულის სათავსების ტემპერატურას;

ყველა მაგისტრალური კომუნიკაციის მონტაჟი ხდება ერთდროულად, კომპლექსურად, ნულოვანი ციკლის მომზადებულ ტექნიკურ სათავსებში, რაც უზრუნველყოფს სამონტაჟო სამუშაოთა სისწრაფეს, სიიაფეს, ბეტონის ფილებისაგან. სახურავი უნდა კეთდებოდეს მხოლოდ რკინაბეტონისაგან, როგორც ეს პრაქტიკაშია მოსკოვში, ლენინგრადსა და ერევანში.

ტიპური პროექტებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში შეძენილი გამოცდილების საფუძველზე მთავარობილისმშენს საჭიროდ მიაჩნია გადაისინჯოს და კვლავ დამუშავდეს კონსტრუქციები, აგრეთვე მსუბუქი ლავგარდნებით შეიცვალოს დიდი ზომის მოცულობითი ლავგარდნები. ჩვენი აზრით, მშენინდუსტრიის და მშენებლების წინადადება ამ კონსტრუქციების გადაწყვეტისას სწორი და მოწონების ღირსია.

თუ გავითვალისწინებთ საცხოვრებელი სახლების ფასადების არქიტექტურული ფორმების სისადავეს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფასადების მოპირკეთებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. თუ მაღალხარისხოვან ამინდგამძლე საღებავებს მოგვცემენ, მდგომარეობა შეიძლება შედარებით გამოსწორდეს.

ფასადების მოპირკეთებისათვის საჭიროა ვიყენებდეთ სხვადასხვა მასალებს, ერთგვაროვანი მასალა და ფასადის მოპირკეთების ერთფეროვნება განაშენიანებას მოსაწყენ სახეს ან დროებითს „საგამოფენო“ ხასიათს აძლევს. მოწყობილი არ არის მზა ხარისხოვანი საღებავების წარმოება, მაშინ როცა რესპუბლიკაში ამ საღებავების გამოსაშვებად ნედლეულის მდიდარი საბადოებია.

ეს საკითხი ჯერ კიდევ უყურადღებოდ არის მიტოვებული და ახალ საქმიან გადაწყვეტას მოელის.

მეტისმეტად დიდია სადურგლო ნაკეთობათა ტიპებისა და ზომების რაოდენობა. დადგა დრო განეახორციელოთ კარის ბლოკების ტიპებისა და ზომების უნიფიკაცია და შემცირება.

მთავარობილისმშენმა მიიღო და დაამონტაჟა კარ-ფანჯრების ჩარჩოების დამზადების ნახევრადავტომატური ხაზი, მაგრამ სადურგლო ნაკეთობათა ტიპებისა და ზომების უნიფიკაციის უქონლობის გამო მისი გამოყენება გაძნელებულია.

თბილისის ბინათმშენებლებმა უნდა დაიჩქარონ საცხოვრებელი სახლების გაიაფების საქმეში მოძმე რესპუბლიკების ქალაქების მოწინავე საშენებლო ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების დანერგვა.

სიხარული

მე სიცოცხლის
წლები განა დამელია!
სიყვარულით
ვეწაფები შვების წყაროს;
ცხოვრებაში
რა ბრძოლებიც გაგვივლია —
სიხარულით,
აღტაცებით შეგვეცვალოს!

დაძლეული
ო რამდენი მანძილია,
და კვლავ რამდენ
გამარჯვებას დავაწყვილებთ!
მომავალი
ნიტარების აიმძვრელია,
ამ ნათელ წამს
სიკვდილიც ვერ დაგვაკიწყებს!..

დღეს ყველა ერს
მთის არწივის ფრთა გაშლია,
შრომისათვის
დაურაზმავთ ლომგულები;
კომუნიზმი ჩვენს ერთიან ძალაშია...
წარიალებენ
საქართველოს ჩონგურები.

რა ჩაკრობს
ოქტომბრის დღის მზე-განთიადს?
კრემლის ვარსკვლავს
ელვარება ემატება;
დღეგრძელობა
ჩვენს პარტიას მძლეს და დიადს —
კომუნიზმის
ჯარისკაცთა შემართებას!

კალე გოგოხიძე.

ფეიქრები მთიდან

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა ფეიქართა სამშენდლოა. აქ ნახავთ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან ფეიქრის სხვადასხვა პროფესიას.

ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენი საყვარელი მგოსნის ვაჟა-ფშაველას სოფლიდან—ჩარგალიდან საშუალო სკოლის სიმწიფის ატესტატით კომბინატში მოვიდნენ ბაბალე ფილიაური და რუსუდან ყაყიდაშვილი. მთის ლამაზ ბუნებაში ლაღად გაზრდილ გოგონებს პირველად ძალიან უუცხოვათ, გაკვირვებულები უყურებდნენ საფეიქრო წარმოების რთულ დანადგარებს. გული გაუტყდათ, ფეიქრობის შესწავლის იმედი დაკარგეს.

გადიოდა დღეები, და გოგონები ეგუებოდნენ წარმოების წესებს, ეჩვეოდნენ მანქანებს. გამოცდილი ოსტატების დახმარებით მალე დაეუფლნენ ძაუდის სართავ მანქანებს და სამი თვის მუშაობის შემდეგ დამოუკიდებლად დაიწყეს დაზგებზე მუშაობა. ახალგაზრდა ფეიქრების ბაბალესა და რუსუდანის პროფესიის სწრაფი ათვისების ალღო მთელი საამქროს კოლექტივის განცვიფრებას იწვევდა. მუყაოთი გოგონები დღითიდღე აუმჯობესებდნენ მუშაობას, პროდუქციის ხარისხს. ახლა ბაბალე და რუსუდანი მრთველთა მოწინავეთა რიგებში დგანან და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში.

სურათზე: ბ. ფილიაური და რ. ყაყიდაშვილი.

ფოტო ბ. დადვაძისა.

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის პროდუქცია ფართოდაა ცნობილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. საწარმოს კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ ახალი შრომითი ვამარჯვებებით შეხვდეს პარტიის XXII ყრილობას. **სურათზე:** მექანიკური საამქროს მღარავი ა. გამრეკელაშვილი. ივი გამომუშავების ყოველდღიურ ნორმას 150 პროცენტით ასრულებს.

ფოტო გ. კიკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ფაბრიკა — ეკონომიკურ ბაზაზე

ს. სალუქვაძე,
წყალტუბოს რაიონის სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

✦

ჩვენს კოლმეურნეებს ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად პარტიის პროგრამის პროექტი მშობლიურ, სისხლხორცეულ საქმედ, ჩვენი იმედებისა და მისწრაფებების ყველაზე მკაფიო გამოხატულებად მიაჩნიათ.

პარტია თვლის, რომ მძლავრ მრეწველობასთან ერთად, აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული სოფლის მეურნეობის შექმნა კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა.

ეს ამოცანა უშუალოდ უნდა გადავჭრათ ჩვენ, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა. როცა პარტიის პროგრამის პროექტი წავიკითხეთ, განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა ის ადგილი, სადაც ლაპარაკია სოფლის მეურნეობისა და სოფლად საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების შესახებ.

ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ პარტია ყოველმხრივსა და თანმიმდევრულ ღონისძიებებს ახორციელებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის. ამის შედეგია, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მაღლდება კოლმეურნეთა კეთილდღეობის დონე, განუხრელად იზრდება მათი შემოსავალი.

ჩვენმა ბრიგადამ შარშან მოკრიფა 104 ტონა ჩაის ფოთოლი. წელს უფრო თავგამოდებით ვშრომობთ და უკეთეს მაჩვენებლებსაც ვაღწევთ. უკვე მოკრეფილი გვაქვს 106 ტონაზე მეტი ნედლეული.

პარტიის ამ ისტორიული დოკუმენტის სიბრძნითა და სიღიადით შთაგონებულმა ჩვენი ბრიგადის მეჩაიეებმა ახალი, გადიდებული ვალდებულება იკისრეს — სეზონის ბოლომდე 140 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფონ, რაც კარგი საჩუქარი იქნება მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი.

ყველაფერი ადამიანისათვის

გ. დალაქიშვილი,
ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის დირექტორი.

სკკპ პროგრამის პროექტის თვითეული სტრიქონი გამსჭვალულია ხალხის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი ზრუნვით. პროგრამის პროექტში ნათქვამია, რომ **მთლიანად განხორციელდება პარტიის ლოზუნგი: ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“;**

პროგრამის პროექტში დასახული ამოცანები ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკებს ავალებს მობმარეთ საგნების წარმოების გადიდებასთან ერთად სისტემატურად გაუმჯობესონ მისი ხარისხი.

ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივს, რომელიც უდიდესი ინტერესით ეცნობა და განიხილავს სკკპ პროგრამის პროექტს, თავისი წვლილი შეაქვს ამ ამოცანების განხორციელებაში.

შვიდწლედის ბოლოსათვის ფეხსაცმლის გამოშვების ოთხნახევარჯერ გაზრდით, სწრაფი ტემპით შენდება და 1964 წლისათვის პირველ პროდუქციას მოგვცემს ფეხსაცმლის ახალი დიდი ფაბრიკა, რომელიც წლიურად 3,5 მილიონ წყვილ ფეხსაცმელს გამოუშვებს.

სტრიქონები წერილებიდან

საზღვროა ჩვენი სიხარული სკკპ პროგრამის პროექტმა, მისმა სიბრძნემ ძალა შეგვმატა შრომაში. სამ ჰექტარ სიმინდის ნათესს ვუფლი. პროექტის განხილვის ამ დღეებში ახალი გადიდებული ვალდებულება ვიკისრე — ჰექტარზე 100 ცენტნერ სიმინდს მივიღებ და წელს სამშობლოს 300 ცენტნერ სიმინდის მარცვალს მივცემ.

ი. ხოშტარია,
ობაში, სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა. მესიმინდე, სოციალისტური შრომის გმირი.

* * *

ახლა, როცა პარტიის პროგრამის პროექტს განვიხილავთ, ენით გამოუთქმელ სიამაყეს განვიცდი. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები პირველნი ვაშენებთ დედამიწის ზურგზე კომუნიზმს. მოდი და გულმოდგინედ ოავდადებულად ჩუ იმუშავებ!..

ვშრომობთ კიდევ. ჩვენს ფირმაში მუდამ გადაჭარბებით ვასრულებთ რძის წარმოების ვალდებულებებს. ეს წარმატებები წელს კიდევ უფრო დიდი იქნება.

ნ. სათურიძე,
დუშეთი. მლეთის კოლმეურნეობის მწველავი. ლენინის ორდენოსანი.

ხალხმა რომ მადლობა გვითხრას

რ. ნინიძე,
ტრესტ „თბილმშენინდუსტრიის“ მმართველი.

უკანასკნელ წლებში საბინაო მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში ფართო მასშტაბს იღებს. კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ისტორიული ამოცანა საცხოვრებელი ბინების ნაკლებობის აღმოფხვრისა შეიძლება გადაჭრილ იქნას მშენებლობაში სწრაფი ტექნიკური პროგრესის საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით მსხვილბლოკური და მსხვილპანელური სახლთმშენებლობა საცხოვრებელი სახლების აგების ინდუსტრიალიზაციის საფუძველი ხდება. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა საშენებლო წარმოება გადავაქციოთ ქარხანაში დამზადებული დიდი ზომის დეტალებისაგან შენობათა აწყობის მექანიზებულ ნაკადურ პროცესად.

კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტი ორი ათწლეულის განმავლობაში კიდევ უფრო დიდ ამოცანებს სახავს ბინათმშენებლობის დარგში. პროექტში ნათქვამია:

„სკკპ აყენებს ამოცანას გადაიჭრას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველაზე მწვავე პრობლემა — საბინაო პრობლემა. მეორე ათწლეულის შედეგად ყოველ ოჯახს, მათ შორის ახლადშეუღლებულთა ოჯახებს, ექნება კეთილმოწყობილი ბინა ჰიგიენისა და კულტურული ყოფაცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად. ძველი ტიპის გლეხური სახლები ძირითადად შეიცვლება ახალი თანამედროვე სახლებით, ან იქ, სადაც ეს შესაძლებელია, მოხდება მათი რეკონსტრუქცია და განხორციელდება საჭირო კეთილმოწყობა. მეორე ათწლეულის განმავლობაში ბინები სარგებლობა თანდათანობით უფასო გახდება ყველა მოქალაქისათვის“.

მშენებლები, სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკები, არქიტექტორები და კონსტრუქტორები მოვალენი არიან ღრმა ანალიზი გაუკეთონ პროგრამის პროექტით გათვალისწინებულ ამოცანებს და იფიქრონ იმის შესახებ, რომ უფრო სწრაფად აეწყონ რიტმული მუშაობა სამშენებლო მოედნებზე, სადაც იქმნება მასივები, კომპლექსურად გაშენებული ახალი საცხოვრებელი კვარტალები. მიკრორაიონებისა და კვარტალების გენერალური გეგმების გადაწყვეტის, ცალკეული სახლებისა და კულტსაყოფაცხოვრებო ნაგებობების დაგეგმვის, შენობათა დეტალებისა და ასაწყობი ელემენტების დამზადების, საინჟინრო ქსელებისა და კომუნიკაციების განხორციელების, შენობების დამონტაჟებისას სამუშაო გენერალური გეგმების გადაწყვეტის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას ღონისძიებანი, რომლებიც საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოფენ საცხოვრებელი სახლის მაღალ ხარისხს, ყველა კომუნიკაციისა და კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ეკონომიურად განლაგებას, მიღწეულ უნდა იქნას მშენებლობის მაქსიმალური გაიაფება და შენობათა აგების ვადების შემცირება.

თბილისში ცოტა რამ როდია გაკეთებული ამ მიმართულებით, ყოველწლიურად სრულდება ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები, იქმნება ახალი საცხოვრებელი მასივები საბურთალოში, დიღომში, ნავთლუღში, იზრდება და ფართოვდება ქალაქი და ათასობით მშრომელი იღებს კარგად აშენებულ ბინებს,

ამასთან არის მთელი რიგი გადაუჭრელი საკითხები, რომელთა გადაჭრა გააუმჯობესებდა მშენებლობის ტემპებს და გააიაფებდა მის ღირებულებას.

პირველ რიგში მინდა შეეხო შემდეგ საკითხებს:

განაშენიანების გენერალური გეგმის გადაჭრის დროს საჭიროა, ჩვენი აზრით, გათვალისწინებულ იქნას:

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე გადაყვანამდე კვარტალების კომპლექსური განაშენიანება ქ. თბილისის მასივებში უნდა ხორციელდებოდეს 5-6 სართულიანი საცხოვრებელი სახლებით, რომლებშიც მცირემეტრაჟიანი ბინები იქნება. აღნიშნული გადაწყვეტილება გაუმჯობესებს კომკურსა აშენების გამოყენებას და რიგმე განსაკუთრებული ხარჯების გაუწევლად გაადიდებს საცხოვრებელი ფართობის გადაცემას საექსპლოატაციოდ ერთი-ორი სართულის დამატებით, დაზოგავს სახელმწიფო სახსრებს.

კვარტალის საცხოვრებელი ზონის გადაწყვეტისას უზრუნველყოფილ უნდა იქნას საცხოვრებელი სახლების განლაგება კომკურსა ამწის მოქმედების ზონაში იმ გარეგანით, რომ ერთი კოშკურა ამწე მისი დემონტაჟის მოუხდენლად ორი-სამი სახლის აწყობაზე მუშაობდეს. ამგვარად კვარტალების დაგეგმვა სრულიად არ არის შეხამებული ამწეების მუშაობასთან და თითქმის ყოველი სახლის აწყობისას წარმოებს კოშკურა ამწეების მონტაჟი და დემონტაჟი, რაც ამცირებს ამწეების წარმადობას, მოითხოვს ზედმეტ ხარჯებს და საბოლოო ანგარიშით აძვირებს მშენებლობას, ზოგჯერ ნაადრევად გამოაყავს მწყობრიდან ამწის ცალკეული დეტალები.

უნდა შეიცვალოს თვითეული სახის საინჟინრო ქსელის მიწის ქვეშ ცალ-ცალკე გაყვანის არსებული წესი, რამდენადაც ეს აშკარად არ შეესაბამება თანამედროვე ასაწყობი სამონტაჟო მშენებლობის ორგანიზაციის ტექნოლოგიასა და მეთოდებს, აძვირებს მას და ძლიერ აფერხებს ნულოვანი ციკლის შესრულებას. ამავე დროს არის ახალ საცხოვრებელ მასივებში საინჟინრო ქსელების ბის მწყობის გაიაფებისა და ინდუსტრიალიზაციის, მათი ექსპლოატაციის არსებითი გაუმჯობესებისა და საინჟინრო ნაგებობათა სამსახურის განაწილებისა ფართო შესაძლებლობანი.

საინჟინრო კომუნიკაციების გეზნიშნა, გარდა ეზოს საკანალიზაციო კოლექტორებისა, თავმოყრილი უნდა იქნას საცხოვრებელი შენობების ქვეშ, სარდაფებიანი სახლების ტექნიკურ კორიდორებში ან ინ შენობების ტექნიკურ იატაკქვეშეთში, რომლებსაც სარდაფები არა აქვს.

საცხოვრებელი კომპლექსის ყველა შენობაში უნდა შეიქმნას ასაწყობი ელემენტებისაგან რგოლური გვირაბი, რომელშიც დამონტაჟდება საინჟინრო მაგისტრალები, გათბობა, ცივი და ცხელი წყლის მომარაგება, გაზი, ელექტროკაბელები და სუსტდენიანი ქსელი. ამასთან გათბობისა და ცხელი წყლის მომარაგების მაგისტრალები გაყვანილ უნდა იქნას სითბოს შემცველის მოძრაობის თანამშრავი მიმართულებით.

საინჟინრო კომუნიკაციების გაყვანის აღნიშნული წესი უზრუნველყოფს მყარ მუშაობს, თანაბარ დაწნევას (ან ძაბვას) სახლის ქსელების მიერთების ყველა წერტილში და თვითეული შენობისათვის ყველა სახის ენერგიის ორმაგად მიწოდებას ღირებულების გაუდიდებლად და მასალების დაუხარჯავად.

კომუნიკაციების გაყვანის რგოლური სქემის მეოხებით რომელიმე უბნის ავარია არ იწვევს შენობათა მომარაგების შეწერებას, რადგან საკვალთების უბრალო გადართვა მიაწვდის ენერგიას შესაკრავით გოლის მეორე ნაწილიდან, რაც სრულიად შეუძლებელია ქსელების მიწისქვეშა ჩიხური გაყვანის დროს, რომელიც ამჟამად მიღებულია ჩვენი საცხოვრებელი კვარტალებისათვის.

ყველა საინჟინრო ქსელის გაყვანა და მონტაჟი უნდა სრულდებოდეს ერთდროულად, კომპლექსურად, თვითეულ შენობაში ნულოვანი ციკლის დამთავრებისათანავე და მშენებლობის ნაკადურობის გრაფიკის სრული შესაბამისობით.

მზა ტექნიკურ არხებში ან შენობათა იატაკქვეშ საინჟინრო ქსელების კომპლექსური გაყვანის დაპროექტებულ სქემას მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვს მიწისქვეშა გაყვანასთან შედარებით:

მკვეთრად — დაახლოებით 41 პროცენტით შეიკრდება საინჟინრო კომუნიკაციების აგების ღირებულება;

ქსელების გაყვანა შრომალ, დასათვალიერებლად მისაწვდომ სათავსებში მნიშვნელოვნად ზრდის საინჟინრო ნაგებობათა სამსახურის ვადას. სავსებით აცილებელია თავიდან კოროზია;

იმის მეოხებით, რომ გაზის, ცივი და ცხელი წყალსადენის სადგარები უშუალოდ უერთდება მაგისტრალებს, მნიშვნელოვნად მცირდება სახლის ქსელები, რაც ამცირებს ადგილობრივი ქსელების ღირებულებას;

ისპობა სითბოს ის უსარგებლო დაკარგვა გრუნტში, რაც მიწისქვეშა თბოქსელების დამახასიათებელია. პირველი სართულის იატაკის ქვეშ თბომომარაგების მაგისტრალების არსებობა სასარგებლოა, ვინაიდან ზამთარში მაღალ სწევს პირველი სართულის სათავსების ტემპერატურას;

ყველა მაგისტრალური კომუნიკაციის მონტაჟი ხდება ერთდროულად, კომპლექსურად, ნულოვანი ციკლის მომზადებულ ტექნიკურ სათავსებში, რაც უზრუნველყოფს სამონტაჟო სამუშაოთა სისწრაფეს, სიიაფეს, ბეტონის ფილებისაგან. სახურავი უნდა კეთდებოდეს მხოლოდ რკინაბეტონისაგან, როგორც ეს პრაქტიკაშია მოსკოვში, ლენინგრადსა და ერევანში.

ტიპური პროექტებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში შეძენილი გამოცდილების საფუძველზე მთავარობილისმშენს საჭიროდ მიაჩნია გადაისინჯოს და კვლავ დამუშავდეს კონსტრუქციები, აგრეთვე მსუბუქი ლავგარდნებით შეიცვალოს დიდი ზომის მოცულობითი ლავგარდნები. ჩვენი აზრით, მშენინდუსტრიის და მშენებლების წინადადება ამ კონსტრუქციების გადაწყვეტისას სწორი და მოწონების ღირსია.

თუ გავითვალისწინებთ საცხოვრებელი სახლების ფასადების არქიტექტურული ფორმების სისადავეს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფასადების მოპირკეთებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. თუ მაღალხარისხოვან ამინდგამძლე საღებავებს მოგვცემენ, მდგომარეობა შეიძლება შედარებით გამოსწორდეს.

ფასადების მოპირკეთებისათვის საჭიროა ვიყენებდეთ სხვადასხვა მასალებს, ერთგვაროვანი მასალა და ფასადის მოპირკეთების ერთფეროვნება განაშენიანებას მოსაწყენ სახეს ან დროებითს „საგამოფენო“ ხასიათს აძლევს. მოწყობილი არ არის მზა ხარისხოვანი საღებავების წარმოება, მაშინ როცა რესპუბლიკაში ამ საღებავების გამოსაშვებად ნედლეულის მდიდარი საბადოებია.

ეს საკითხი ჯერ კიდევ უყურადღებოდ არის მიტოვებული და ახალ საქმიან გადაწყვეტას მოელის.

მეტისმეტად დიდია სადურგლო ნაკეთობათა ტიპებისა და ზომების რაოდენობა. დადგა დრო განეახორციელოთ კარის ბლოკების ტიპებისა და ზომების უნიფიკაცია და შემცირება.

მთავარობილისმშენმა მიიღო და დაამონტაჟა კარ-ფანჯრების ჩარჩოების დამზადების ნახევრადავტომატური ხაზი, მაგრამ სადურგლო ნაკეთობათა ტიპებისა და ზომების უნიფიკაციის უქონლობის გამო მისი გამოყენება გაძნელებულია.

თბილისის ბინათმშენებლებმა უნდა დაიჩქარონ საცხოვრებელი სახლების გაიაფების საქმეში მოძმე რესპუბლიკების ქალაქების მოწინავე საშენებლო ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების დანერგვა.

სიხარული

მე სიცოცხლის
წლები განა დამელია!
სიყვარულით
ვეწაფები შვების წყაროს;
ცხოვრებაში
რა ბრძოლებიც გაგვივლია —
სიხარულით,
აღტაცებით შეგვეცვალოს!

დაძლეული
ო რამდენი მანძილია,
და კვლავ რამდენ
გამარჯვებას დავაწყვილებთ!
მომავალი
ნიტარების აიმძვრელია,
ამ ნათელ წამს
სიკვდილიც ვერ დაგვაკიწყებს!..

დღეს ყველა ერს
მთის არწივის ფრთა გაშლია,
შრომისათვის
დაურაზმავთ ლომგულები;
კომუნიზმი ჩვენს ერთიან ძალაშია...
წარიალებენ
საქართველოს ჩონგურები.

რა ჩაკრობს
ოქტომბრის დღის მზე-განთიადს?
კრემლის ვარსკვლავს
ელვარება ემატება;
დღეგრძელობა
ჩვენს პარტიას მძლეს და დიადს —
კომუნიზმის
ჯარისკაცთა შემართებას!

კალე გოგოხიძე.

ფეიქრები მთიდან

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა ფეიქართა სამშენდლოა. აქ ნახავთ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან ფეიქრის სხვადასხვა პროფესიას.

ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენ

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების მთავრობათა განცხადება

ბერლინი, 13 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების მთავრობათა შემდეგი განცხადება:

„ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები მთელი რიგი წლების მანძილზე იბრძვიან იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას საზავო მოწესრიგება გერმანიასთან. ამასთან ისინი ითვალისწინებენ, რომ ეს საკითხი დიდი ხანია მომწიფდა და მისი გადაჭრა აღარ შეიძლება. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის მთავრობამ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალი ყველა სახელმწიფოს სრული თანხმობითა და მხარდაჭერით მიმართა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მონაწილე ქვეყნების მთავრობებს წინადადებით — დადგონ საზავო ხელშეკრულება ორ გერმანულ სახელმწიფოსთან და ამ საფუძველზე გადაჭრან დასავლეთ ბერლინის საკითხი მისთვის დემილიტარიზებული თავისუფალი ქალაქის სტატუსის მინიჭების გზით. ეს წინადადება ითვალისწინებს მდგომარეობას, რომელიც რეალურად შეიქმნა ომისშემდგომ პერიოდში გერმანიასა და ევროპაში. იგი მიმართული არ არის ვისიმე ინტერესების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციას და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებმა დღემდე არ დაგვანახვეს, რომ მზად არიან ამ საკითხის შეთანხმებული გადაჭრისათვის ყველა დაინტერესებულ ქვეყნის სასარგებლოდ. ამასთან, ეს საკითხი ფაქტობრივად ორ ომად ქცეულ ომად, ანუ ჰიტლერული გერმანიის ომად ითვლება. ეს ომი ორ ფრონტზე, ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებსა და ჰიტლერული გერმანიის ომად ითვლებოდა

ათი დღე გარიბალდის სამშობლოში



ახლა მსოფლიოში მწერალთა რამდენიმე გაერთიანება, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია არსებობს. ამ ხუთი წლის წინათ პირველად შეიკრიბა აზიის კონტინენტის მწერალთა კონფერენცია ინდოეთის დედაქალაქ დელიში. თუმცა ამ კონფერენციის ზოგიერთი მონაწილე თავგამოდებით ცდილობდა კონფერენციას არ გადაელახა წმინდა ლიტერატურული საკითხების საზღვრები, არ შეჭრილიყო დიდ საზოგადოებრივ საკითხებში, დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ამ შეკრებით და არ მიეღო არავითარი დეკლარაცია მწერალთა ორგანიზაციის შექმნის შესახებ, აზიის მწერალთა საერთო პლატფორმის შესახებ, მაგრამ იგი მაინც დიდ მოვლენად გადაიქცა აზიის ხალხების სულიერ ცხოვრებაში. კონფერენციამ გამოთქვა თავისი გარკვეული მოსაზრებანი აზიის ხალხების ბრძოლაზე კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ამ ხალხების თავისუფლებისა და იროვნულ დამოუკიდებლობაზე.

კონფერენციის ამგვარად წარმართვაში დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მწერალთა დელეგაციებმა.

დიდი გაელვნა მოახდინა კონფერენციის მუშაობაზე აგრეთვე ეგიპტის დელეგაციის გამოჩენამ. ეგიპტეში მაშინ გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა სუეცის არხის გარშემო.

ასევე დიდი მოვლენა იყო აზიის ხალხების სულიერ ცხოვრებაში აზიის მწერალთა მეორე კონფერენცია ტაშკენტში. ამ კონფერენციაზე უფრო გაბედულად გაისმა ხმა კოლონიური ჩაგრისაგან აზიის ხალხების განთავისუფლებისა. კონფერენციამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა აზიის მწერალთა გაერთიანებას და შექმნა მისი ხელმძღვანელი ორგანოები.

ყველაფრიდან ჩანს, რომ აზიისა და აფრიკის მწერალთა მომავალი კონფერენცია, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში შეიკრიბება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქ კაიროში, კიდევ უფრო აღიმაღლებს ხმას ამ ორი დიდი კონტინენტის ჯერ კიდევ გადუჭრელი სოციალური და ეროვნული პრობლემების გარშემო.

ყოველივე ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ, როგორც ჩანს, ჩვენს დროში მწერალთა შეკრებები მარტო სალიტერატურო საკითხების განსახილველად რიდი ეწყობა. ეს შეკრებები ბუნებრივად გადაიზრდება ხოლმე დიდ საზოგადოებრივ პრობლემათა გარშემო გაცხარებულ ბრძოლებად, და ეს უკვე კარგად იციან არა მარტო მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა, არამედ მსოფლიო რეაქციის ძალებმაც, და ისინიც თავის მხრივ ყოველი ღონისძიებით ცდილობენ ასეთი შეკრებები თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ.

ევროპის მწერალთა გაერთიანება ახალი ორგანიზაციაა. მის წევრად საბჭოთა კავშირიდან ჯერჯერობით მხოლოდ ასეოდე მწერალი ითვლება, აქედან ათეოდე ქართველი მწერალიც. ამ ორგანიზაციის შექმნის თაოსნობა თავიდანვე იტალიელმა მწერლებმა იკისრეს და მისი ხელმძღვანელი ორგანოებიც დღეს იტალიაში იმყოფება. გაერთიანების პრეზიდენტია იტალიელი ანჯოლეტი; პასუხისმგებელი მდივანია ამ გაერთიანების მთავარი ორგანიზატორი და ჟურნალ „ლიტერატურული ევროპის“ რედაქტორი ჯანკარლო ვიგორელი. ხოლო ვიცეპრეზიდენტები საფრანგეთიდან ანდრე შამსონი და საბჭოთა კავშირიდან ცნობილი პოეტი—მიკოლა ბაჟანი.

კონგრესი გაიმართა ტურინში.

ტურინი ერთ-ერთი უფიდანვე სამრეწველო ქალაქია იტალიაში. იგი გაშლილია მშვენიერი ალპების ძირში. ამ უძველეს იტალიურ ქალაქს, პიემონტის ყოფილ ცენტრს შუა ჩაუდის მდინარე პო. ქალაქი სავსეა ისტორიული ძეგლებით, მეფეთა სასახლეებით, საშუალო საუკუნეების ციხე-კოშკებით, სასულიერო და საერო უძველესი არქიტექტურული ნაგებობებით, მშვენიერი ქანდაკებებით, ძველებური ვიწრო ქუჩებითა და ჭუჩაბანდებით.

და აი სწორედ ეს უძველესი ქალაქი ტურინი ითვლება ახლა იტალიური „ახალი კაპიტალიზმის“ ცენტრად. აქ ყოფილა იტალიური „ახალი კაპიტალიზმის“ ბუდე — „ფიატის“ კონცერნის საწარმოები. უწინარეს ყოვლისა დიდი საავტომობილო ქარხნები, თვითმფრინავების, ტრაქტორების, დიზელებისა და მანქანებისმშენებელი საწარმოები. ყოველივე ეს გაშლილია ქალაქის გარეუბნებში და ძალიან დიდი ადგილიც უჭირავთ.

„ფიატის“ ავტომანქანები დღეს მთელ მსოფლიოშია მოდებული. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ მანქანებს ამერიკაშიც ბევრს ნახავთ, ამერიკაში, რომელსაც თითქოს ავტომანქანების ექსპორტის მონოპოლია აქვს დღევანდელ კაპიტალისტურ სამყაროში, და ნახავთ იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, „ფიატის“ ქარხნები უკეთეს მცირელიტრაჟიან მანქანებს ამზადებენ.

ქარხანაში დასათვალიერებლად ავტობუსებით შედიხართ. ევროპის მწერალთა კონგრესი ორ ავტობუსში მოვთავსდით. დათვალიერების შემდეგ ქარხნის მეპატრონეებს ვეწვიეთ. შევედით მთავარ მეპატრონესთან — „ფიატების“ შთამომავალთან. მისაღებში დიდხანს ვუცადეთ და შემდეგ როგორც იქნა ისიც გამოჩნდა — ვალეტა, „ახალი კაპიტალიზმის“ ერთ-ერთი მამამთავარი იტალიაში.

მაღალ მდიდრულ კარში გამოჩნდა სამოციოდე წლის პატარა, სულ პატარა კაცი, ჭაღარა, მაღლა აფშეკილი თმით. ფეხის წვერებზე ნახევრადაძგიბული მოგვესალმა კონგრესის დელეგატებს და ისე გასინჯეთ, სათითოოდ ხელიც კი ჩამოგვართვა. დიდკაცურად, ნაძალადევად გაღიმებულს, ბაგეებიდან უთავბოლოდ მოყრილ-მოყრილი სხვადასხვა ფერის კბილები მოუჩნდა. ეს კაცი ძალიან ჰგავდა პატარა, სულ პატარა სატირს.

ჯანკარლო ვიგორელიმ ვალეტას მიმართა პათეტიკური სიტყვით, ისეთი პათეტიკური სიტყვით, რომ მე თარჯიმანისთვის არც კი მიკითხავს, რა სთქვა ვიგორელიმ. კონგრესის სხვა მონაწილენი საუბარში არ ჩარეულან. ვალეტამ ორიოდე სიტყვა დიდკაცური პოზით გვიბოძა და ისევ ფეხის თითებზე აძგიბული, თითქმის სირბილით გაიქრა მისაღებიდან.

აი ამ პატარა კაცუნას ხელშია დღეს არა მარტო რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის ბედი, არამედ მთელი ეს დიდებული ტრადიციის მქონე ქალაქიც. ტურინი „ფიატის“ ქალაქია, „ფიატებს“ თავიანთი პოლიციაც ჰყავთ, მრავალრიცხოვანი საკუთარი პოლიცია. ქალაქის სრული ბატონპატრონი, მისი ხელისუფლებაც ეს კონცერნი ყოფილა. აი ესეც „ახალი კაპიტალიზმი“.

მაგრამ, დავუბრუნდეთ კვლავ ჩვენს საქმეს. რატომ სწორედ ტურინში შეიკრიბა ევროპის მწერალთა კონგრესი?

კონგრესის დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანების („რისორჯიმენტო“) ასი წლისთავი. იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანების დროშა ხომ სწორედ ტურინში აიფრიალა ასი წლის წინათ ჯუზეპე გარიბალდიმ.

ჩვენ, საბჭოთა მწერლების დელეგაცია მივდიოდით ამ კონგრესზე ღრმად დარწმუნებულნი, რომ ამ შეკრებაზე გარდა ლიტერატურისა, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზეც იქნებოდა ლაპარაკი, მაგრამ იმას კი არ ველოდით, რომ კონგრესი შეეცდებოდა სრულიად არაფერი ეთქვა იტალიის განთავისუფლებასა და გაერთიანებაზე, ლეგენდარული გარიბალდის მოძრაობაზე. ჩვენ შევეცადეთ წარმდგარიყავით ტურინში მასალებით იმის შესახებ, თუ როგორი გამოძახილი ჰპოვა ჩვენი ქვეყნების მწერლობაში თავის დროზე გარიბალდის მოძრაობამ. ეერძოდ, ჩვენ თან გვქონდა მშვენიერი მასალები ქართული მწერლობიდან, იმდროინდელი ჩვენი ეუონალ-გაზეთებიდან.

როგორც ჩვენში ცნობილია, იმ დროინდელი ქართველი ინტელიგენცია გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს იტალიის ამბებს. ცნობილია ისიც, რომ ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა გარიბალდის არმიაში ეოლონტერად წასვლაზე, ხოლო ილიას დიდებული ლექსი „მესმის, მესმის“ დაწერილია სწორედ იმის გამო, რომ ჯუზეპე გარიბალდიმ 1860 წლის 10 ივნისს მესინა აიღო. ილიას, ამ კავკასიელი მაძინის სამუშაო კაბინეტს, მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში ამშვენებდა ჯუზეპე გარიბალდის სურათი. ქართველი ახალგაზრდა ინტელიგენციის გული აღსავსე იყო გარიბალდისადმი თანაგრძნობით და სიყვარულით. მისი გმირობით აღტაცებული ქართველი ინტელიგენცია გარეგნულადაც კი ბაძავდა მას—ჯუზეპე გარიბალდის. გაიხსენეთ პოეტ მამია გურიელის სურათი, გარიბალდის ჯარისკაცის ტანსაცმელი რომ აცვია „ადამიანის“ ავტორს. მთელი მაშინდელი ქართული პრესა სავსეა ცნობებით გარიბალდის ბრძოლების შესახებ. ამ დიდი იტალიელის სიცოცხლეშივე დაიწერა ჩვენში მონოგრაფია მის შესახებ. ხოლო როცა ტელეგრაფმა ცნობა მოიტანა, გარიბალდი გარდაიცვალო, გორელებმა იტალიაში დეპეშა გაგზავნეს, რომლის ტექსტსაც ჩვენ აქ არ მოვიყვანთ, იგი დიდი ხანია კარგად არის ყველასთვის ცნობილი.

1905 წლის ბობოჭარ დღეებში ქართველი რევოლუციონერები, აჯანყებული მშრომელები მღეროდნენ „გარიბალდის სიმღერას“. ეს ლექსი, როგორც ალა გამოირკვა, ეკუთვნის იტალიელ პოეტს იპოლიტო ნევოს და იგი რუსეთის პირველი რევოლუციის დღეებში რუსულდან ქართულად უთარგმნია ეროდიონ ევდოშვილს.

აი ასეთი საინტერესო გამოძახილი ჰპოვა გარიბალდის მოძრაობამ პატარა საქართველოშიც და ეს ცნობები შეიძლება მეტად საინტერესოც ყოფილიყო იტალიის ინტელიგენციისათვის, კონგრესი გამოცხადებული დღის წესრიგით რომ წარმართულიყო, და ამ შეკრების ორგანიზატორებს არ ეცადათ კონგრესი სავსებით აეცილებინათ ლიტერატურის საკითხებისაგან და იგი მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისათვის გამოეყენებინათ.

კონგრესი გაიხსნა „ფიატის“ ავტომობილების მუზეუმის დარბაზში. უხდა აღინიშნოს, რომ კონგრესს აკესწრებოდნენ არა მარტო დღევანდელი ევროპის ბევრი გამოჩენილი მწერალი, არამედ იტალიის ცნობილი მწერლებიც. რომლებიც იქვე ყურის ძირში ცხოვრობენ. ასე რომ კონგრესი დაკმაყოფილდა ლაქსნესის, მორავიას, ჟან კოკტოს, არნოლდ ცვაგის, ჯეზიმოდოს და სხვათა დეპეშების წაკითხვით, იტალიის პრეზიდენტის გრონკის, სენატის და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეების დეპეშებთან ერთად. ევროპის მწერალთა გაერთიანების პრეზიდენტ ანჯოლეტის ავადმყოფობის გამო, კონგრესი გახსნა გაერთიანების ვიცე-პრეზიდენტმა ანდრე შამსონმა. ამ სრულიად არაპროგრესულად განწყობილი მწერლის შესავალ სიტყვაშივე აშკარა გახდა, რომ ევროპის მწერალთა კონგრესის ორგანიზატორები მხოლოდ წმინდა პოლიტიკურ მიზნებს ისახავდნენ. მართალია, კონგრესის პირველ სხდომებზეკე ხშირად ისმოდა სიტყვა „რისორჯიმენტო“, მაგრამ ეს სიტყვა სრულებითაც არ გადმოსცემდა იტალიის ხალხის გმირულ ბრძოლას ამ ქვეყნის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის XIX საუკუნეში.

საკვირველი იყო, რომ კონგრესის პირველ სხდომებზე არავის უხსენებია დიდი იტალიელი გმირის, თავისუფლებისათვის მებრძოლი ჯუზეპე გარიბალდის სახელიც კი, ვიდრე ტრიბუნაზე საბჭოთა მწერლების დელეგაციის ხელმძღვანელი არ გამოვიდა. როცა ამის შესახებ ვკითხეთ კონგრესის ორგანიზატორებს, განგვიმარტეს, რომ გარიბალდი იტალიაში პოპულარული არ არის, რადგან იგი თავის დროზე მეფესა და პაპს ებრძოდაო.

ანდრე შამსონმა პირდაპირ განაცხადა, ევროპის მწერალთა ეს კონგრესი მიზნად ისახავს აშკარად და მტკიცედ დააყენოს ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების გაერთიანების საკითხი. აი თურმე რატომ ყოფილა კონგრესისთვის შერჩეული იტალიის გაერთიანების— „რისორჯიმენტოს“ ძველი ისტორია.

კაპიტალისტური ევროპის გაერთიანება ან, როგორც იტალიურად ამბობენ, „პიკოლო ევროპა“ (პატარა ევროპა), აი რა იყო ზოგ-ზოგის სანუკვარი ოცნება ტურინის მწერალთა კონგრესზე.

ამ იდეას დარაზმულებივით გამოჰყვნენ კონგრესის მონაწილენი კაპიტალისტური ქვეყნებიდან. შამსონის შემდეგ, ტურინის ქალაქის მერმა მაღალპათეტიკურად მოგვიწოდა, დაუყოვნებლივ, კონგრესის დამთავრებისთანავე, წუთის დაუგვიანებლად ჩავბმულიყავით ამ მუშაობაში. მყისვე გავმგზავრებულიყავით ადგილებზე, კაპიტალისტური ევროპის სოფლებსა და ქალაქებში ამ იდეის, „პიკოლო ევროპას“ იდეის ხალხში მტკიცედ დასანერგავად, „რისორჯიმენტო“ ასი წლის წინათ არ დამთავრებული. იგი ცოცხლობს და დღეს მთელი ევროპა უნდა მოიცვასო, მღელვარედ განაცხადა ორატორმა.

მშვიდად ვისხედით დარბაზში საბჭოთა და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მწერლების დელეგაციები. ვისხედით და ვუცდიდით, როდის მოიჯერებდნენ გულს მღელვარე ორატორები წმინდა პოლიტიკურ საკითხებზე გადაუვიდოდნენ ლაპარაკით და როდის დაიწყებდა საუბარი მხატვრულ ლიტერატურაზე.

ეს მოლოდინი კი კარგა ხანს გაგრძელდა, და გაგრძელდა იმიტომაც, რომ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ არა მწერლები, არამედ იტალიის პოლიტიკური მოღვაწენი. ქალაქის მერს მოჰყვა იტალიის კონსტიტუციური სასამართლოს წარმომადგენელი. მან, მართალია, ბევრი ილაპარაკა, რომ არა მარტო ოქმებსა და სასჯელებს ეწერ, არამედ მთელი ჩემი კაცთმოყვარე გულითა და სულით მწერლობაც მიყვარს, მაგრამ აქ, ამ კონგრესზე უპირატესობას პოლიტიკურ საკითხებს ვანიჭებო.

კონსტიტუციური სასამართლოს წარმომადგენელს მოჰყვა იტალიის ფლოტის ყოფილი ადმირალის ლევის გამოსვლა. ადმირალს მოჰყვა იტალიის სახელმწიფო მდივანი, მინისტრი და ა. შ.

შეიძლება ვინმე კითხვაც კი დაჰბადებოდა: რა ნიადაგზე ეწოდება ამ შეკრებას ევროპის მწერალთა კონგრესი? ანდრე შამსონი თავის მეორე გამოსვლაშიც უფრო პოლიტიკურ მოღვაწეს ჰგავდა, ვიდრე ლიტერატორს.

კონგრესი მწერლების შეხვედრას უფრო ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მწერალთა წარმომადგენლებმა დაამსგავსეს. საინტერესო ლიტერატურული, სამწერლო საკითხები დააყენეს კონგრესის ტრიბუნიდან პოლონეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის წარმომადგენლებმა. მათ დამსწრეთ უამბეს, თუ როგორ აისახა ამ ქვეყნების მწერლობაში იტალიის გაერთიანების ისტორიული მორრამობა და ჯუზეპე გარიბალდის სახე.

უინაარსიანი, ისტორიული ფაქტებით მდიდარი, ჯერცელ სიტყვით გამოვიდა საბჭოთა მწერლების დელეგაციის ხელმძღვანელი, ჩვენი ცნობილი პოეტი მიკოლა ბაჟანი. კონგრესმა დიდი ინტერესით მოისმინა მისი სიტყვა. ამ სიტყვაში მართლაც საინტერესო ცნობები იყო იტალიის „რისორჯიმენტოს“ შესახებ რუსული და რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ხალხების ლიტერატურული ცხოვრებიდან. მიკოლა ბაჟანის სიტყვაში ევროპის მწერალთა კონგრესზე ამაყად გაისმა სახელი ჩვენი დიდი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძისა.

ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ევროპის მწერალთა კონგრესს იტალიაში უთუოდ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის ქვეყნების არა მარტო მწერალთა, არამედ ამ ქვეყნების ხალხთა ურთიერთგაგების, დაახლოებისა და კულტურული კავშირის გაღრმავებისათვის. ეს კონგრესი კიდევ ერთი წინ წადგმული ნაბიჯი იყო ამ რთულ გზაზე, და ამედი უნდა ვიქონიოთ, რომ ევროპის მწერალთა შემდეგი შეხვედრები კიდევ უფრო შეუწყობენ ხელს ამ კონტინენტის ხალხების კულტურული თანამშრომლობის განვითარებას.

ირაკლი აბაშიძე.
ტურინი — თბილისი.





კურორტი ბორჯომი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ბიოქიმიკოსთა კონგრესზე

10 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა ბიოქიმიკოსთა მე-5 საერთაშორისო კონგრესი.

საქართველოს ბიოქიმიკოსთა დელეგაციის ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა ვ. ალათიანმა საუბარში განაცხადა: კონგრესი წარმოადგენს მეცნიერული იდეების თანაარსებობის რეალური განხორციელების ისეთ მაგალითს, რომელსაც მივყავართ მსოფლიო მეცნიერების პროგრესისაკენ.

ამას ხელს შეუწყობს ყველაფერი: 54 ქვეყნის დელეგატების მოხსენებათა გარჩევა, სხვადასხვა აზრთა წყობის მეცნიერებს შორის შემოქმედებითი დისკუსია, სამეცნიერო ლიტერატურის, ახალი აპარატურისა და რეაქტივების შესანიშნავი გამოფენა.

ღირსშესანიშნავად მიგვაჩნია ის, რომ საქართველომ, რომელსაც 35 წლის წინათ არა ჰყავდა არც ერთი ბიოქიმიკოსი, დღეს, მე-5 საერთაშორისო ბიოქიმიკოსთა კონგრესზე, გაგზავნა 64 დელეგატი.

ქართველი ბიოქიმიკოსები კონგრესზე წაიკითხავენ 14 მოხსენებას ბიოქიმიის სულ სხვადასხვა დარგში.

მნიშვნელოვანია მოხსენებები ქართველ ბიოქიმიკოსთა სხვადასხვა სკოლებისა, რომელსაც ხელმძღვანელობენ აკადემიკოსები პ. ქომეთიანი, ს. დურმიშიძე და სხვები.

სასიხარულოა, რომ მომხსენებელთა შორის უმეტესობა ახალგაზრდა მეცნიერებია.

თინა ფიჩხაია.
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.
მოსკოვი.

ჩვენი სტუმრები

ოთხ დღეს იყვნენ სტუმრად საქართველოში ახალი ზელანდიის პროგრესული მწერლები ჰოეტსა და ტოის ივენი და ბელეტრისტი ნოველისტი, ჟურნალ „ფერნ ფაიას“ გამომცემელი მურეი გიტოსი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არიან სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მოწვევით.

საქართველოში ყოფნის დროს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნენ საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატებს. რესპუბლიკის მწერალთა კავშირში ისინი შეხვდნენ ქართველ ლიტერატორებს.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალზელანდიელ მწერლებზე ეროვნული მხატვრული ლიტერატურის პოპულარობამ საქართველოში, დიდმა ყურადღებამ, რომელიც ექცევა ლიტერატურის განვითარებას საბჭოთა ქვეყანაში.

— ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი სიამაყით ვილაპარაკოთ ჩვენს მკითხველებზე, როგორც თქვენ, — თქვა მურეი გიტოსმა, — ახალზელანდიელ მკითხველთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, გატაცებულია ამერიკული დეტექტივებითა და კომიქსებით. მეორეა ახალზელანდიელ მწერალთა ნაწარმოებების გამოცემის ტირაჟი.

ახალი ზელანდიის მწერლებმა დაათვალიერეს ქალაქი რუსთავი. იყვნენ სტალინის სახელობის ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საამქროებში. მათი ცხოველი ინტერესი გამოიწვია მოგზაურობამ მცხეთაში. ისინი იყვნენ აგრეთვე ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში საგურამოში.

14 აგვისტოს სტუმრები სოხუმს გაფრინდნენ. როცა თბილისს გამოემშვიდობენ, მათ განაცხადეს:

— ლამაზი და მრავალფეროვანია ახალი ზელანდია, მაგრამ არა ნაკლებ წარმტაცია საქართველო. ჩვენ გაგვაცა ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობამ და გულითადობამ. ეჭვი არ არის, რომ ორი ხალხის მწერალთა მეგობრობა განმტკიცდება და გაფართოვდება პროგრესისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ. (საქდესი).

ამბები, ფაქტები, ცნობები

პრიზები, გუნდები, პერსპექტივები

როგორც ცნობილია, ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულთათვის დაწესებულია გარდამავალი პრიზი, მედლები, ვიმპელები, დიპლომები. მაგრამ გარდა ამ ჯილდოებისა პირველობის მონაწილენი კიდევ ექვს პრიზს მოელიან. ესენი არის — ფეხბურთის ფედერაციის, ვაზეთების „ტუდიისა“ და „სოვეტსკი სპორტის“, გ. ფედოტოვის სახელობის, ჟურნალ — „ოგონიოკისა“ და გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული დამატების „ფუტბოლის“ პრიზები.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრიზი დაწესებულია იმ გუნდისათვის, რომელიც არა მარტო კარგად თამაშობს და უძლიერესად ითვლება, არამედ ჰყავს შესანიშნავი რეზერვი და ძირითად და დუბლ-შემადგენლობათა ქულების ჯამით ყველაზე წინ იქნება.

ეს პრიზი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოიპოვეს მოსკოვის „სპარტაკმა“ (1958 წ.), დედაქალაქის „ტორპედომ“ (1959 წ.) და კიევის „დინამომ“ (1960 წ.).

ვინ არიან მიმდინარე სეზონში ამ პრიზის მთავარი პრეტენდენტები? პირველ რიგში მოსკოვის სპარტაკელები — 62 ქულა (ძირითადი შემადგენლობის 25 ქულა+ დუბლ-შემადგენლობის 37 ქულა), ცსკა — 55 ქულა (29+26), კიევის „დინამო“ — 54 ქულა (29+25).

გაზეთ „ტრუდის“ პრიზი მიეკუთვნება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო „ბომბდამშენს“. დღემდე მისი მფლობელები იყვნენ სპარტაკელი ა. ილინი, დინამოელი ზ. კალოევი და ტორპედოელი გ. გუსაროვი. წელს ამ პრიზს მოიპოვებს ფინალის პირველი ათეულის ერთ-ერთი გუნდის წარმომადგენელი, რომელიც ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს წინასწარ და დასკვნითს შეხვედრებში ერთად.

დღეისათვის „ტრუდის“ პრიზის პრეტენდენტები არიან — ა. მამიკინი (ცსკა— 17 ბურთი), გ. გუსაროვი (მოსკოვის „ტორპედო“) და გ. კრასნიცკი (ტაშკენტის „პახტაკორი“) — თხუთმეტ-თხუთმეტი ბურთი, ვ. ვოროშილოვი (მოსკოვის „ლოკომოტივი“) და ვ. კანევსკი (კიევის „დინამო“) — ცამეტ-ცამეტი ბურთი.

„სოვეტსკი სპორტის“ პრიზი დაწესებულია ყველაზე კორექტულად მოთამაშე გუნდისათვის. დღემდე ეს პრიზი მოიპოვეს სტალიხოს „შახტიორმა“, კიევის „დინამომ“, ერევნის „სპარტაკმა“. მიმდინარე სეზონში უკეთესად დისციპლინან კოლექტივად ჯერჯერობით გამოიყურება მინსკის „ბელარუსი“ (1 გაფრთხილება), ვილნიუსის „სპარტაკი“ (3 გაფრთხილება), ლენინგრადის „ზენიტი“ (4 გაფრთხილება).

გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი დაწესებულია „ა“ კლასის ყველაზე შედეგიანი გუნდისათვის. ეს პრიზი პირველად მოსკოვის სპარტაკელებს ხვდათ (35 ბურთი), ხოლო მომდევნო სეზონებში — თბილისის დინამოელებს (48 და 67 ბურთი). წელს გ. ფედოტოვის სახელობის პრიზის მთავარი პრეტენდენტები არიან ცსკა (55 გატანილი ბურთი), მოსკოვის „ტორპედო“ (46 ბურთი), კიევის „დინამო“ (41 ბურთი), მოსკოვის „სპარტაკი“ (38 ბურთი.).

„ოგონიოკის“ პრიზი დაწესებულია 1960 წლიდან საუკეთესო მეკარისათვის. გასულ სეზონში იგი ცნობილმა მეკარემ ლ. იაშინმა (მოსკოვის „დინამო“) მოიპოვა. მოსალოდნელია ეს პრიზი წელსაც ლ. იაშინს ხვდეს, ან ლოკომოტიველ ვ. მასლაჩენკოს, ან კიდევ შესაძლოა სხვა კოლექტივების წარმომადგენელს, რადგან ჯერ კიდევ წინ არის გადამწყვეტი შეხვედრები.

„ფუტბოლმა“ მიმდინარე წლიდან დაწესა პრიზი დიდი ანგარიშებით მატჩების მოგებისათვის. იგი გადაეცემა უძლიერესთა ათეულის წარმომადგენელს, რომელსაც თავის აქტივში ექნება ყველაზე მეტი მოგება 3 და მეტი ბურთის განსხვავებით. დღეისათვის პრიზის პრეტენდენტები არიან — ცსკა (6 მოგება), დონის როსტოვის სკა (5 მოგება), თბილისის „დინამო (5 მოგება), მოსკოვის „ტორპედო“ (4 მოგება), კიევის „დინამო“ (4 მოგება), მოსკოვის „სპარტაკი“ (4 მოგება).

„ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა

ყაზანში გაიმართა რესპუბლიკათა „ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა. თამაშობდნენ ადგილობრივი „ბანგასა“ და ბათუმის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 2:0.

გუშინ სოხუმის „რიწასა“ და ვიტებსკის „კრასნაია ზნამიას“ გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.

ულიანოვსკში ჩატარებული ბიბლიოთეკა

ვარძია იზიდავს სტუმრებს

ვარძია. (საკ. კორ.). ყოველწლიურად ათასობით ტურისტი და ექსკურსანტი მოდის დიდებული ისტორიული ძეგლის — ვარძიის სანახავად. განსაკუთრებით აღსანიშნავია წლევანდელი ტურისტული სეზონი.

მტკვრის ხეობაში სტუმრებს გზას უხსნის მდინარის მაღალ პირამიდულ კლდეზე აღმართული ხერთვისის უძველესი ციხე-სიმაგრე. კარძიამდე მათ მიაცილებენ გამოქვაბულთა რიგები — „ნავარძიები“, ლერწმის ტევრით შემოჯარული წუნდის ტბა, უძველესი წუნდის ერთნავიანი ეკლესია, შუად გაკვეთილ კლდეში გალავნით შემოზღუდული „ვანის ქვაბი“ თმოგვის ციხე-ქალაქის კლდეთა ფანტასტიკური პროფილები.

წელს უკვე 2.000-მდე ტურისტმა და 6.000 ექსკურსანტმა დაათვალიერა ვარძია, კლდეში საოცარი სიზუსტით გამოკვეთილი მისი ქვაბები, თამარ მეფის რეზიდენცია, წყალსადენის ტრასა, სამეურნეო დანიშნულების გამოქვაბულები, საიდუმლო გვირაბი მდინარემდე, სალბინო, მარანი, „თამარის ოთახი“, გვირაბის სალრმეში მუდამ ერთ დონეზე მდგომი ცივი წყაროს აუზი და სხვ.

დიდია ინტერესი ისტორიული ასპინძის ციხის, ახალციხის, საფარის მონასტრის, აწყურის ციხის, ზარზმისა და განახლებული სამცხის სხვა უძველესი ძეგლებისადმი.

უზეველო „ნადირობა“

ამას წინათ საინტერესო შეჯიბრება გაიმართა შვეიცარიაში. შვედი, ნორვეგიელი, შვეიცარიელი, იუგოსლაველი, პოლონელი, ჩეხოსლოვაკელი და საბჭოთა რადიოსპორტსმენები ევროპის პირველობაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „მელაზე ნადირობაში“ — ვინ უფრო სწრაფად მოძებნიდა „სამ მელას“ — გადასატან რადიოსადგურს, რომლებიც ტყე-ღრეში იყო შენიღბული. გაიმარჯვა მოსკოველმა ალექსანდრე აკიმოვმა. მან 9-კილომეტრიანი დისტანცია გაიარა და „სამივე მელა“ აღმოაჩინა 1 საათსა და 14 წუთში.

საერთო გუნდური პირველი ადგილიც საბჭოთა რადიოსპორტსმენებმა მოიპოვეს.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

13 აგვისტო

თეატრები: ფილარმონიის საზაფხულო — „ლატერნა მაგიკა“, **სპორტის სასახლე** — გვინეის ეკვადორი.

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი — „ქვის ჰორიზონტი“, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ბაბა გამოიცანით“, 18.20 — გადაცემა — „კორეელი ხალხის ეროვნული დღესასწაული“, 18.35— კინოჟურნალი, 18.45 — ფეხბურთის მატჩის მეორე ნახევრის რეპორტაჟი „ქარიშხალს“ სტადიონიდან, 19.30 — კინოჟურნალი, 19.40 — ახალი ამბები, 19.55 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ჩვენი თაობა იცხოვრებს კომუნიზმში“ (სტუდიაში — საქართველოს ალკა ეენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე), 20.10 მხატვრული ფილმი —„მოწმენდილი ცა“.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნისა—3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის—3-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდისა—3-81-84, სოფლის მეურნეობისა—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლებისა— 3-80-84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციისა—3-16-90, წერილებისა—3-73-24, საილუსტრაციო—3-20-43, მუშათა ფლეიერთა ცხოვრების — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

პროფკავშირთა VII სპარტაკიადა

მოსკოვი, 13 აგვისტო. (ტელეფონით სპეც. კორ.). დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე დიდი გამოცოცხლებაა — მიმდინარეობს პროფკავშირთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

კვირადღის ასპარეზობიდან ყველაზე საინტერესო და მასობრივ შეჯიბრებას მძლეოსანთა შეხვედრები წარმოადგენდა.

800 მეტრზე რბენაში ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი **ბუხანოვა.** მან აჩვენა 2 წუთი და 6,2 წამი. ვაჟთა შორის 400 მეტრზე თარჯრბენში პროფკავშირთა სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ჩეხოსლოვაკიის (რსფსრ— 51,1 წამი). როგორც მოსალოდნელი იყო, ქალთა შორის ბირთვის კვრაში გაიმარჯვა **თამარ პრესმა** (ლენინგრადი — 17 მეტ